საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-285

27/03/2020

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს „ეისიი მეტალსის" სორტული ნაგლინის წარმოების ქარხნის (ლითონის ცხლად დამუშავება) ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-4 პუნქტის 4.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. თბილისში შპს „ეისიი მეტალსის" სორტული ნაგლინის წარმოების ქარხნის (ლითონის ცხლად დამუშავება) ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №26 (23.03.2020);
2. შპს „ეისიი მეტალსი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №26 (23.03.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეისიი მეტალს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეისიი მეტალსის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი